დანართი
დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“
დირექტორის მ/შ-ის 2025 წლის 05 მარტის №01-02/46 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სასწავლო ლაბორატორიაში „უსაფრთხოების

ნორმების დაცვის ინსტრუქცია“

2025

1. სასწავლო ლაბორატორიაში განთავსებული უნდა იყოს მინიმუმ ერთი ცეცხლმაქრი.

2. ხანძრის შემთხვევაში ლაბორატორიაში მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს საგანებო სიტუაციების მართვის სამსახურს ნომერზე 112 (ამასთან, აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, შეატყობინოს გვარი, სახელი), ასევე კოლეჯის ხელმძღვანელობასა და შესაბამის პასუხისმგებელ პირს, ხოლო ხანძრის გაჩენის რისკის (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ) შემთხვევაში აცნობოს კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტს/შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი (შემდგომში მასწავლებელი) ვალდებულია მეცადინეობის დასაწყისში გააცნოს სტუდენტებს უსაფრთხოების ნორმები, აწარმოოს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჟურნალი დადგენილი წესის შესაბამისად და უზრუნველყოს ლაბორატორიაში სტუდენტების მიერ უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

4. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია პრაქტიკული დავალების შესრულების დროს არ ჩაიცვას განიერი სახელოების მქონე ტანსაცმელი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. გრძელი, გაშლილი თმა განსაკუთრებით საშიშია ჩართულ დანადგარებთან. თმა ყოველთვის უნდა ჰქონდეთ შეკრული ან აწეული.

5. <u>პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:</u>

❖ მუშაობის დაწყების წინ ყოველთვის შეამოწმეთ საკერავი მანქანა. დარწმუნდით, რომ მანქანა გაწმენდილია და არის გამართულ მდგომარეობაში;

❖ მასწავლებლის ნებართვის და მითითების გარეშე არ შეეხოს და არ გადაადგილოს მოწყობილობები, არ მოახდინოს მათი არჩევა და დემონსტრირება;

❖ მუშაობის დაწყებამდე შეამოწმოს საკერავი მანქანების, ტენ - თბური დანადგარების მდგომარეობა. ხელსაწყო-იარაღების მდგომარეობა, დაზიანების ან დეფექტის არსებობის შემთხვევაში აცნობოს მასწავლებელს;

❖ სიფრთხილით მოეკიდოს საფრთხის შემცველ მოწყობილებებსა და ნივთიერებებს;

❖ სამუშაოს დასრულების შემდეგ არ მოახდინოს მოწყობილობის ჩართვა/გამორთვა მასწავლებლის თანხმობის გარეშე;

❖ მუშაობის დასრულების შემდეგ მოაწესრიგოს ხელსაწყო-იარაღები, მასალებს მიუჩინოს შესაბამისი ადგილი. ნებისმიერი დაზიანების ან დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს მასწავლებელს;

❖ მოაწესრიგოს სამუშაო ადგილი. ნარჩენები მოათავსოს ურნაში და გამორთოს ენერგიის წყარო;

❖ სხეულის დაზიანების შემთხვევაში მიმართოს კოლეჯის მედდას, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას, კომპეტენციის ფარგლებში ისარგებლოს პირველადი დახმარების ყუთით;

❖ ავარიული სიტუაციის დროს იმოქმედოს ჩატარებული ინსტრუქტაჟის მიხედვით:

დაუყონებლივ გათიშოს დენი;

- დახმარება გაუწიოს საკუთარ თავსაც და ირგვლივ მყოფებსაც;
- დაუყონებლივ აცნობოს მომხდარის შესახებ პასუხისმგებელ პირს - მასწავლებელს ან/და ან საჭიროების შემთხვევაში დარეკოს 112- ზე.